

# პირველი პრეზიდენტის საქმის ხანდაზმულობის ვადა 5 წლით გახანგრძლივდა



პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საქმეზე ხანდაზმულობის ვადა 2023 წლამდე გახანგრძლივდა. გადაწყვეტილება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ერთხმად მიიღო. გადაწყვეტილებას მხარი ოპოზიციამაც დაუჭირა.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიების შესაძლო შეწყვეტის გამო კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა მთავარი პროკურატურის მისაღებში შემშიღობა 11 დღის წინ დაიწყეს. 31 დეკემბერს საქართველოს პირველი პრეზიდენტის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტზე 25-წლიანი ხანდაზმულობის ვადა იწურება. საქმის ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებაზე პარლამენტი დღეიდან დაჩქარებულად იმსჯელებს.

21 დეკემბერს სადომე ბურაბიშვიდმა პარლამენტს მიმართა, გაეთვარისწინებინა თხოვნა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების ხანდაზმულობის ვადა გაგრძელებულიყო.